Большое количество личинок уничтожалось кавказской черной синицей (*Parus ater michalowskii*). В желудках отдельных синиц, убитых в 7—8 часов утра, насчитывалось от трех до сорока и более личинок комарика, выклевываемых ими из мин (см. рис.) Эффективной мерой борьбы хозяйственного порядка является осенняя стрижка бордюров буксуса. Последнее объясняется тем обстоятельством, что яички откладываются самками комарика исключительно в листья текущего года, срезаемые при стрижке.

Процент смертности буксусового комарика при фумигации  
цианистым натрием  
(все данные приводятся из расчета на 1 м<sup>2</sup> буксусового бордюра)

| Время постановки опыта          | Условия опыта   | Время опыта   | Живых   |          | Мертвых |          | Процент смертности вредителя |
|---------------------------------|---|---------------|---------|----------|---------|----------|------------------------------|
|                                 |   |               | личинок | кузмолок | личинок | кузмолок |                              |
| 5/IV 1941<br>2—3 ч.             | Цианистого натрия 80 г;<br>гловерной кислоты 95 см <sup>3</sup> ;<br>воды 200 см <sup>3</sup> ;<br>температура воздуха в тени 21°;<br>„ воздуха на солнце 31,5°;<br>экспозиция—1 час  | 15/IV 1941 г. | 49      | 18       | 89      | 84       | 71,5                         |
| 5/IV 1941<br>11.30—<br>12.30 ч. | Цианистого натрия 88 г;<br>гловерной кислоты 105 см <sup>3</sup> ;<br>воды 220 см <sup>3</sup> ;<br>температура воздуха в тени 19°;<br>„ воздуха на солнце 39,5°;<br>экспозиция—1 час | 15/IV 1941 г. | 19      | 4        | 154     | 83       | 90,5                         |
| 5/IV 1941<br>3.45—<br>4.45 ч.   | Цианистого натрия 100 г;<br>гловерной кислоты 115 см <sup>3</sup> ;<br>воды 240 см <sup>3</sup> ;<br>температура воздуха в тени 21°;<br>„ воздуха на солнце 32°;<br>экспозиция—1 час. | 15/IV 1941 г. | 9       | 3        | 145     | 94       | 95,5                         |
| 5/IV 1941                       | Контрольный опыт . . . . .  | 15/IV 1941 г. | 105     | 133      | 5       | 7        | 5,3                          |

Опытная Станция Запиты Растений Грузии

Тбилиси

ზოოლოგია

ე. სუარაშვილი

ბზის კოლო (MONORTHROPALPUS BUXI LAB.) და მასთან ბრძოლა  
საქართველოს პირველი მუნიციპალიტეტების მინისტრის

რეზუმე

საქართველოს პირობებში აღნიშნულ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის შესწოვლის საფუძველზე ეტორს შემდეგი დასკვნა გამოყავს:

1. ბზის კოლოს უკანასკნელი ხნოვანების მატლების და კუპრების წინააღმდეგ კარგ შედეგებს იძლევა ფუმიგაცია ბრეზნტის ქვეშ. ფუმიგაციისას გამოყენებული იქნა 60% ციანოგენი ნატრიუმი 100 გ, 240 სმ<sup>3</sup> წყალი და 60° გლოვერის სიმეავე 115 სმ<sup>3</sup> ბზის ნარგაობის 1 კუბომეტრზე, ერთი საათის ექსპოზიციის დაცვით.



2. ბზის კოლოს (მატლებს და ჭუპრებს) ინადგურებს ბუნებრივი მტრები — ვარაზიტი — *Tetrastichus* sp. და კავკასიის შევი წიეწიფა *Parus ater michalowskii*.  
მცენარეთა დაცვის საქართველოს საცდელი სადგური  
თბილისი

## ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА—СОЧИНЕНИЯ И СТАТЬИ

1. А. Г. Сказова. Справочник по вопросам карантина растений. № 3, 1940.
2. Умнов. Советские субтропики, № 8—9, 1938.

ზოოლოგია

დავით ქობახიძე



შავეშატის ფარიანა (CHIONASPIS EVONYMI Comst.) პოპულაციის  
განვითარება საქვებ სუბსტრატზე

ჩვენ განვითრახეთ ქანქუატის ფარიანას პოპულაციის მცნარეზე განლაგების შესწავლა, ცალკეულ ეგზემპლართა შორის არსებობისათვის ბრძოლა-შეგუების ზოგიერთ დამახასიათებელი მომენტის აღნუსხვა და ამით გამოწვეული მწერის საფარის მორფოლოგიურ ცვლილებათა სურათობრივი დაფიქსრიება<sup>1</sup>.

ა) ქანქუატის ფარიანას განაწილება ბუნებრივად დაზიანებულ მცნარეზე. როდესაც I სმ<sup>2</sup> ფართობზე მხოლოდ ერთი დედალი მწერი ვითარდება, მაშინ: ა) ფიქსირებულია საფარის სიმეტრიულობა—ჩვეულებრივი მორფოლოგიური განვითარება (სურ. 1), ბ) ფართობისათვის, საკვები სუბსტრატისათვის ბრძოლა და სიკვდილიანობა არ არის აღნიშნული; როდესაც I სმ<sup>2</sup> ფართობზე ორი დედალი მწერი მოექცევა, მაშინ: ა) შესაძლებელია მათი სრულიად შეუხებლივ ან შეხებით, მაგრამ ნორმალური სიმეტრიულობით განვითარება (სურ. IIa), ბ) შეხებით და ასიმეტრიული განვითარება (სურ. IIb) და გ) ფართობისათვის, საკვები სუბსტრატისათვის ბრძოლის დასრულება, ერთ-ერთის დაღუპვებით კი (სურ. IIc); როდესაც I სმ<sup>2</sup> ფართობზე სამი დედალი მწერი დასახლდება, მაშინ შესაძლებელია: ა) სიმეტრიული განცალკევითი ან სიმეტრიული ოდნავ შეხებითა განვითარება (სურ. IIIa), ბ) შეხებითი და ასიმეტრიული განვითარება (სურ. IIIb) და გ) შესაძლებელია განვითარების რომელიმე სტადიაში გამოითიშოს ერთი მათგანი (სურ. IIId); თუ I სმ<sup>2</sup> ფართობზე ოთხი დედალი მწერია, მაშინ შესაძლებელია: ა) ოთხივეს ნორმალური-სიმეტრიული განვითარება, როგორც ერთი-მეორის შეუხებლად, ასევე ნაწილობრივი, მხოლოდ მესამეჯერ ნაცვალი კანით<sup>2</sup> შეხებით (სურ. IVa), ბ) ერთი-მეორის შეხებით და ასიმეტრიულად განვითარება (სურ. IVb), გ) შესაძლებელია განვითარების რომელიმე სტადიაში გამოითიშოს რამდენიმე დედა-

(1) გამოკვლეული იქნა ქანქუატის ფარიანას საკვებ სუბსტრატზე განაწილება, როგორც მცნარის ბუნებრივად დაზიანების, ასევე დაუზიანებელ მცნარეზე მწერების ხელოვნურად შესყვის დროს. სანალიზოდ გამოყენებულ იქნა მხოლოდ ზრდასრულებული დედალი მწერები, განლაგებული სუბსტრატის შედარებით სწორ ხედაპირზე (ფოთლის პერიფერიული ნაწილი, ტოტების გასწორივი მუტლოზორის პაგილები). გამოსაკვლევ ფართობად მიღებული იქნა I სმ<sup>2</sup> და თითოეულ გარისანტრისათვის ათეული გამშეორებითი ანალიზი.

ლი მწერი (სურ. 1Vბ); 1 სმ<sup>2</sup> ფართობზე ხუთი დედალი მწერის არსებობა სა-კმაოდ აესებს ფართობს, ამიტომ: ა) ძნელდება სიმეტრიული განვითარება (სურ. Vა), ბ) ხშირდება ასიმეტრიული განვითარება (სურ. Vბ) და გ) ბიოლოგიური ციქლის დასრულებამდე გამოოთხვეა-სიკვდილიანობა მატულობს (სურ. Vგ); უკვე დედალი ეგზემპლარების 1 სმ<sup>2</sup> ფართობზე შემდეგი რაოდენობრივი კონცენტრირება (10 და კიდევ მეტი ეგზ.).) ამწევებს რა ფართობისათვის, საკვები სუბსტრატისათვის ბრძოლა-შეგუებას, თითქმის შეუძლებელს ხდის: ა) სიმეტრიულ-ნორმალურ განვითარებას; პირიქით ჩვეულებრივია; ბ) ნეონორმალური-ასიმეტრიული განვითარება და გ) ბრძოლის გამწევება აღიდებს სიკვდილიანობის პროცენტს მწერის განვითარების ბოლო სტადიაშიც კი. რაოდენობის შემდეგი პროპორციული ზრდა იწვევს სიკვდილიანობის პროცენტის თანაფარდობით მატებას. გარკვეულ რაოდენობრივ კონცენტრირების შემდეგ კი (დაახლოებით 25—35 ეგზ.) ზრდადასრულებული დედალი მწერი ფართობის 1 სმ<sup>2</sup>-ზე) უკვე შეუძლებელი ხდება შემდეგი შემჭიდროება და მოზრდილი ფორმების რაოდენობრივი ნამატის ნორმალურად კვება-განვითარება.



ბ) კანკუატის ფარიანას განაწილება ხელოვნურად მწერ-შესეფულ მცენარეზე. აქაც, მცენარეზე ხელოვნურად, მასობრივად მწერის შესვევის დროს ძირითადად განმეორდა ზემოაღნიშნული სურათი. გამოირკვა, რომ ახალი თაობის უმრავლესობა მცენარის მწერით დაუფარავ აღვილეს ეუფლება. პოპულაციის უმთავრესი ნაწილი თაობიდან კიდევ ახალ თაობამდე მცენარის ნაზარდ, ახალგაზრდა, ჯერ ეიდრე მწერმოუდებელ ნაწილებზე სახლდება. რადგან მცენარის მასობრივად დაზიანების დროს ასეთი თავისუფალი ფართობი საქმერისი არ არის, ამიტომ წინა თაობის დროს უკვე მწერმოდებუ-

ლი ბდების კიდევ მეტი შემჭიდროება ხდება. ეს შემჭიდროება ორი თაობის განმავლობაში დაახლოებით ამგვარად გამოიხატა: როდესაც პირველი თაობის დროს ფართობის 1 სმ<sup>2</sup> ერთი დედალი მწერი იყო (სურ. VIIa), მაშინ შესაძლებელი გახდა: ა) დაუფარავი ფართობის შემდეგი გამოყენება, მასზე მწერების ახლი თაობის განლაგებით და ბ) დედის საფარის ქვეშ მოთავსებული ფართობის ახლად გამოყენება (სურ. VIIb)<sup>1</sup>; თუ წინა თაობის დროს 1 სმ<sup>2</sup> ფართობზე ორი დედალი მწერი იყო (სურ. VIIIa), მაშინ: ა) მწერების დაუფარავი დარჩენილი ადგილები დაიფარავ და ბ) დედის საფარის ქვეშ რამდენიმე შეიღლი დასახლდა (სურ. VIIIb); იმ შემთხვევაშიაც თუ 1 სმ<sup>2</sup> ფართობზე წინა თაობაში სამი დედალი მწერი იყო დასახლებული (სურ. IXa), მაშინაც აღინიშნა: ა) დაუფარავი ფართობის თვეისება და ბ) დედალი მწერის ქვეშ მოქცეული ფართობის რამდენიმე მწერის მიერ გამოყენება (სურ. IXb); როდესაც 1 სმ<sup>2</sup> ფართობზე ოთხმა დედალმა მწერმა დაასრულა თავისი განვითარების ბიოციკლი (სურ. Xb), მაშინაც წინა შემთხვევები განმეორდა, სახელდობრ: ა) დაუფარავი დარჩენილი ადგილები იქნა გამოყენებული და ბ) რადგან აქ დედების მიერ საკმაო ფართობი იყო დაკავებული, ამიტომ ნათე საფარების ქვეშ რამდენიმე შეიღლი დასახლდა და მიაღწია შედარებით ნორმალურ განვითარებას; XI და XII აქაც წინა შემთხვევები განმეორდა, მხოლოდ დაუფარავი და შედარებით მცირე ფართობი იყო დარჩენილი (სურ. XIa, XIIa) და ამიტომ ნაწილი ისევ დედის საფარის ქვეშ დასახლდა (სურ. XIb, XIIb); რამდენადაც მცენარის ფართობის ერთეულზე დედების შემდეგი სიმჭიდროვე იზრდება, იმდენად მათ მიერ ნაკლები დაუფარავი ადგილი რჩება და დედის საფარის ქვეშ შეიღლების მეტი რაოდენობა სახლდება.

როგორც ბუნებრივად, ასევე ხელოვნურად ჭანჭუატის ფარიანათი დაზიანებული მცენარის გამოკვლევამ დაგვანახვა შემდეგი: ერთ შემთხვევაში, როდესაც მცენარე ახლად არის დაზიანებული და მასზე ჭანჭუატის ფარიანას პოპულაცია მცირე რაოდენობით არის დასახლებული, მაშინ ბრძოლა ფართობის, საკვები სუბსტრატის დაუფლებისათვის არ არის გამწევებული და თაობის აბსოლუტური უმრავლესობის დედალი მწერების დასახლებული ეგზემპლარების შედარებით სრული ბიოლოგიური ციკლით განვითარება ჩეცულებრივ მოვლენად ჩაითვლება. მეორე შემთხვევაში კი, როდესაც მცენარე ხნგრძლივად არის დაზიანებული, მწერი მასობრივად მოდებული და მცენარის ევგეტატიური ნაწილის შემდეგი ზრდა შენელებული, მწერის მოსახლეობის რაოდენობრივობა ფართობის ერთეულზე კონკრეტურდება და ფართობისათვის, საკვები სუბსტრატისათვის ბრძოლა ნათელი ხდება.

ფართობისათვის, საკვები სუბსტრატისათვის ბრძოლა—შეგუება ჭანჭუატის ფარიანას შემთხვევაში ორგვარად არის გამოვლინებულა: 1) ერთი-მეორის, შესაძლებლობის შემთხვევაში გვერდის აელით, რაც მხოლოდ საფარის მორფოლოგიურ ასიმეტრიულობას იწვევს და 2) ასეთის შეუძლებლობის შემთხვევა-

<sup>1</sup> VII, VIII, IX, X, XI, XII სურათების „ა“ დედებს გამოიხატეს, ხოლო „ბ“ მათი საფარის ქვეშ განვითარებულ შეიღლებს მეორეჯერ კანის ცვლის შემდეგ.



ში, როგორც უკიდურესი საშუალება, ერთი მწერი მეორე მწერის არსებობას მექანიკურად გამოითხავს, რაც ერთი მწერის საფარის მეორე მწერის საფარის ძევშე განვითარებას და ამის გამო ერთის (ზედას) მეორის (ქვედას) მიერ პირის აპარატის (ხორუმის) მცენარის უჯრედებიდან მექანიკურად ამოგლეჯვასა და შემდეგ უსაკვებრდ დალუპვას გულისხმოს. შენიშვნულია, რომ საფარის კველი ნაწილი ერთნაირ მორფოლოგიურ ცვლილებას არ განიცდის. იმ დროს, როდესაც საფარი შემდგარი პირებულსა და მეორეჯვერ ნაცვალი კანისაგან—მოცულობით შედარებით მცირე, ფართობისათვის ბრძოლის პროცესში ჩვეულებრივ სრულიად უცველელი და სიმეტრიული რჩება, საფარის მეორე ნაწილი შემდგარი მესამეჯვერ ნაცვალი კანისაგან—მოცულობით შედარებით დიდი, ძირითადად, წარმოადგენს მთელი საფარის ასიმეტრიულობის შექმნის აღვილს. სწორედ მესამეჯვერ ნაცვალი, შედარებით დიდი მოცულობის, კანი იწვევს მეზობელ ფარიინას გამოითხავს, რადგან ის ზრდის პროცესში აღწევს უახლოეს მეზობლამდე და სუბსტრატზე მკვიდრად მიმაგრების გამო გამოითხავს მეზობლის პირით მომართულ ნაწილს.



რის ძლიერი დაზიანებისას ბუნებაში თითქმის 20-40%, აღწევს; 7) ფართობისა და საკვები სუბსტრატისათვის ბრძოლის უკიდურესი შედეგები დამოკიდებულია 1 სმ<sup>2</sup> ფართობზე დედალი მწერის მოსახლეობის შედეგ რაოდენობით მატებაზე. მწერის იდეალურად განლაგების დროს აღნიშნულმა ფართობმა, როგორც მაქსიმუმი, მხოლოდ 25—25 ზრდადასრულებული დედალი ეგზემპლარი შეიძლება დაიტიოს. ცხადა, ასეთი სისტერე და კონცენტრირება თითქმის სრულიად გამორიცხავს მწერის ნორმალურ ბიოლოგიური ციკლის მსვლელობას, საფარის ასიმეტრიულობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა და საგრძნობლად მატულობს გამოთიშვა-სიკედილიანობის პროცენტი. 1 სმ<sup>2</sup> ფართობზე 25—35 ეგზ. დედალ მწერზე კიდევ მეტი რაოდენობის განლაგება ბუნებაში ჩვეულებრივ აღარ ხდება, შეძეგი დასახლება და რაოდენობითი კონცენტრირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ წინა უკვე მევდარი ეგზემპლარები ჩამოსკვიდინ და გზის შეძეგ თაობას დაუთმობენ, ანდა თუ მცენარე ცოცხალი შესის ახალ ფართობს შექმნის.

ჩატარებული გამოკელევები საშუალებას გვაძლევს შემდეგი ზოგადი დასკვნები ჩამოვაყალიბოთ:

1) ჭარიანის ფარიანას პოპულაციას ახალიათებს მცენარეზე განლაგებისათვის, საკვები სუბსტრატის დაუფლებისათვის, ბრძოლა-შეგუბება. ასეთი ბრძოლა-შეგუბება მისი ბიოლოგიური განვითარების ყველა სტადიაში (დაწყებული საკვებ სუბსტრატზე მიმაგრებიდან) ხდება, თუმცა დასაწყისში ცალკეული ეგზემპლარების ნაკლები გამძლეობა არის აღნიშნული, ვიდრე განვითარების ბოლო სტადიაში.

2) ფარიანას ცალკეული ეგზემპლარების მექანიკურად ერთი-მეორის გამოთიშვის მასობრივობა დამოკიდებულია მცენარის დაზიანების, მოელმ პოპულაციის სიკარბის ხარისხზე. თუ მცენარე ხანგრძლივად და ძლიერ არის დაზიანებული, მაშინ პოპულაციის მეტი რაოდენობა კვდება, რადგან გარდა მექანიკურად გამოთიშვისა მცენარის ზრდაც შენელებულია და ახალი ფართობის ნაკლები კომპენსირება ხდება.

3) საკვები სუბსტრატის ფარიანათი დაფარების სიკარბის ხარისხის მიხედვით იცვლება ცალკეული ეგზემპლარის საფარის მორფოლოგიაც, ნორმალურ-სიმეტრიულ მდგომარეობიდან—არანორმალურ-ასიმეტრიულ მდგომარეობამდე. საფარის მხოლოდ მორფოლოგიურად არანორმალური განვითარება ფარიანას სიკედილიანობას არ იწვევს.

4) როდესაც ფარიანას პოპულაციაში ცალკეული ეგზემპლარებს შორის ერთი-მეორის გამოთიშვა ზრდადასრულებულ სტადიაში სრულდება, მაშინაც კი სიკედილიანობა შთამომავლობის მოცემამდე ხდება. ფარიანას ასეთი სიკედილიანობის პროცენტულობა დამოკიდებულია საკვები სუბსტრატის დაფარების სისტერეზე და საკვებ ფართობზე მწერების ინდივიდუალური განაწილების თავისებურებაზე.

5) საკვები სუბსტრატის ფარიანათი დაფარულობა, ბრძოლა საკვები ფართობისათვის, განსაკუთრებით ამ მავნებლის მასობრივად გამრავლების შემთხვევაში, ნაწილობრივ აწესრიგებს შთამომავლობის შემდევ რაოდენობრივ ზრდას

და მის ბუნებრივ მტრებთან ერთად ხდება მთელი პოპულაციის შემდეგი რაო-  
 დენობრივი მატების საგრძნობლად შემზღვდველ ფაქტორად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 ზოოლოგიის ინსტიტუტი  
 თბილისი

(შემოვიდა ჩედაქციაში 13.7.1942)

## ЗООЛОГИЯ

Д. Н. КОБАХИДЗЕ

### РАСПРЕДЕЛЕНИЕ ПОПУЛЯЦИИ БЕРЕСКЛЕТОВОЙ ЩИТОВКИ (CHIONASPIS EVONYMI COMST) НА ПИТАЮЩЕМ СУБСТРАТЕ

#### Резюме

В работе, на основании анализа населения щитовки на естественно и на искусственно-зараженных растениях, выводятся заключения относительно борьбы и приспособлений в процессе распределения и совершения биоцикла самок бересклетовой щитовки на питающем субстрате (бересклете).

Академия Наук Грузинской ССР  
 Зоологический Институт  
 Тбилиси



ისტორია

აკადემიის ს. ჯანაშია

იმპიდის (ქართველის) სამეცნის პოლიტიკური ზოოგრაფიისათვის  
უძვილეს პრიორული ც

მცხეთის სამეცნის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღემდის არ ყოფილი სპეციალური მეცნიერული შესწავლის საგანი. ამით აიხსნება, რომ ზოგიერთ სერიოზულ საბჭოთა გამოცემაშიც აღებული ხანის იძერის ტერიტორია ფანტასტიკური სახითაა წარმოდგენილი: სამხრეთის საზღვარი, მაგ., მცხეთიდან მოყოლებული მტკვრის მარცხენა (!) ნაძირს მიჰყვება [1], ხოლო აღმოსავლეთისა—არავისის (ერთი ავტორი ირწმუნება: „ანტიკური და სომეხი ავტორების მონაცემთა შესწავლა ამტკიცებს რომ საკუთრივ ალბანიად იწოდებოდა ტერიტორია, რომელიც ისაზღვრებოდა... დასავლეთიდან მდ. არაგვითა და მცირე კავკასიონის ქედით («მიერ-კავკასიის ნალი»)“ [2] <sup>(1)</sup>. თუ იძერისის პოლიტიკური საზღვრების ამგვარ განშარტებას დავეთანხმებოდით, მივიღებდით ორიგინალურს, —უთუოდ უნიკალურს მსოფლიო ისტორიაში,—ეითარებას, როცა ერთი სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში—იძერის) დედაქალაქის (მცხეთის!) უდიდესი ნაწილი ორი უცხო სახელმწიფოს ფარგლებში მდგბარეობს: ერთი მესამედი, სამეფო რეზიდენციის (არმაზი!) შემცველი—არმენიაში, მეორე მესამედი—კარაგვის მარცხენა ნაძირზე)—ალბანიაში!

ქართულ მწერლობაში მოიპოვება ქველი ქართლის პოლიტიკური გეოგრაფიის განხილვის ერთი ცდა ჩენითვის საინტერესო პერიოდისათვის. ამ ცდის შედეგი ასეთია: „მე-3 საუკ. ქრ. წ. ...იძერისის სამფლობელო შეიცვალა დიდს ნაწილს ამიერ-კავკასიისას კავკასიონის ქედის შუა წელიდან მდ. არზამდის და მდ. კოროხის აუზამდის ამ უკანასკნელის თანმითვლით“. „არტაქსიასისა და ზარიდროისის დრომდის... იძერია, სტრაბონის ცნობის მიხედვით, საქართველო უფრო ყოფილა. უფრო ადრე კიდევ მას სკერია ტერიტორია თითქმის მდ. არზამდის. სტრაბონის დროს იძერია უკვე შემცირებულ ტერიტორიაზე იგულისხმებოდა... თითქმის დაბეჯითებით შეიძლება თიქვას, რომ სტრაბონის დროს იძერია ალბად ლიხის მთამდის უწევდა“. „იძერისის აღმოსავლეთ საზღვარს I სა-

<sup>(1)</sup> ნაწილია მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VII სესიაზე, 1942 წლის 22 ივნისს.

<sup>(2)</sup> „ხელნაწერის უფლებით“ გამოსული ამ გამოცემის დასახლება შესაძლებლად და საჭიროდ მიგვაჩინია, იმიტომ რომ მის შემდგენელ-ჩედაქტორები იმოწმებენ მას თავის სხვა საპასუხისმგებლთ პუბლიკაციებში.



უკუნეში იორი შეადგენდა. მთიან ადგილებისაკენ ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვარი არა სჩანს, მაგრამ... თუ მე-4 საუკუნეში [ა. წ., ს. ჯ.] იბერიის საზღვარი შემდეგ დროინდელ დუშეთის ხაზზე გადიოდა, I საუკუნეში საზღვარი შესაძლებელია უფრო სამხრეთითაც იყო, რადგან მთიულ ტოშების დამორჩილება, როგორც სჩანს, საერთოდ ნელის ტემპით მიღიოდა“ [ზემოთ-კი ავტორი ამტკიცებდა, რომ მე-3 საუკუნეში, ძვ. წ., იბერიის ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის შეა წელს უწევდა! ს. ჯ.]. „იბერიის სამხრეთი საზღვარი, როგორც სჩანს, გადიოდა აღმოსავლეთიდან მტკვარზე, შემდეგ—ხიზის გადაჭრით ლელვარის მთის მიმართულებით და ლელვარის მთის ვიდრე ჯავახეთამდის... ქვემო-ჯავახეთი და სამცხე სტრაბონის დროს იპერიის ფარგლებს გარეშე იყო“ [ვ]. არც ერთი ამ დებულებათაგანი არ არის სწორი, ყველა ეს შედეგია ავტორის ნებისმიერი კონსტრუქციისა, რომელსაც არ ზღუდვს შედარებით-კრიტიკული დამოკიდებულება წყაროებისადმი.

მცხეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრების ისტორიას უძეველეს ხანაში ახასიათებს საერთო ძლიერი ტენდენცია სამეფოს ტერიტორიის შეკვეცისა სამხრეთიდან. მხოლოდ ამ ხანის დამლევისათვის ჩნდება ხანმოკლე და ნაკლებ ძლიერი მიღრევილება საწინააღმდეგო მიმართულებით. ამიტომა სამხრეთის საზღვრების ისტორია ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის შემცველი.

განხილვას დავიწყებთ აღებული ხანის ბოლო პერიოდიდან, რომელსაც ჩვენ დავდებთ 65 წლიდან, ძვ. წ., ვიდრე I საუკუნის შეა წლებამდე, ა. წ., როცა იწყება, სწორედ, ქართლის ტერიტორიული ზრდა სამხრეთისაკენ. წყაროები არვითარ ჩვენების არ შეიცვენ იმის შესახებ, თუ რომელი თემები შეიძინეს (60 და მომდევნო წლებში, ა. წ.) ქართლის მეფემ ფარსმანში და მისმა მემკვიდრეებმა. სამაგიროოდ, მოიპოვება საქართველო მდიდარი და მრავალფეროვანი ცნობები ქართლის ტერიტორიის მოულობის შესახებ წინამორბედ ვითარებაში. ეს ცნობები, თუმცა ისინი ამეამად დაუცულია სხვადასხვა დროის ანტიკურ ავტორთან, დაინს, თავისი წარმოშობით, პომპეუსის თანამგზავრ მწერლების მოთხოვნასა და რომაულს, უმთავრესად ოფიციალურ, წყაროებიმდე. ჩასაც ცხადჰყოფს შედარებით-კრიტიკული შესწავლა. ეს გარემოებაა რომ შესაძლებელს ხდის დასახელებული ცნობების გაერთიანებას.

ჩრდილოეთი ქართლის სამეფოს საზღვარი კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა იყო გადაჭიმული. დარიალის კარები მოელი პერიოდის სიგრძეში ქართველებს უკირავთ ხელში და ძლიერ გამაგრებულიც აქვთ. უკვე სტრაბონი ამბობს: იბერიაში „ჩრდილოეთის მომთაბარე ტოშებიდან მოდის მხელი სამი დღის გზა შელმართებზე, მას მოსდევს ვიწრო ხეობა მდინარე არაგვის გასწერივ, რომლის გველას თახი დღე სჭირია ერთისათვეს; გზის ბოლოს მიუდგომელი კედელი იყავს“ (წ. XI, თ. III, ს. 5). არაგვის დასახელება უცველებყოფს რომ ეს „ჩრდილოეთის გზა“ დარიალის გზაა. შემდეგ, ბუნებრივია ვიუიქროთ რომ „გამაგრებულ გზის ბოლოს“ ცნობის წყარო იბერიის სახელმწიფო საზღვარს (ამ შემთხვევაში—ჩრდილოეთისას) უფარდებს, და არა სამეფოს დედაქალაქს. სტრაბონის ჩვენებაში საყურადღებო მითითება, რომ სამხრეთით მცდებარე ამოსავალი პუნქტიდან (აქ, უძველია, ქართლის დედაქალაქი იგულისხმება) ულელტი-



ხილამდე 4 დღის გზაა, ხოლო უღელტეხილს იქით—3 დღისა. ეს მანძილი და-  
რიალ-ბალთის რაომნში გვაგულისხმებინებს სტრაბონის „მიუღებომელ კუდელს“.  
სხვა ცრობები ჰყანტავენ ყოველგვარ გაუგებრობას. გ. პლინიუს სეკუნდი თა-  
ვის „ბუნებით ისტრორიაში“ წერს: ...„კავკასიის კარები, რომელთაც მრავალნი  
მეტად შემცარად კასპიის კარებს უწოდებენ, უზარმაზარი ქმნილებაა ბუნები-  
სა, მთების უცარი გაპობის შედევი. თვით გასას ვლელი მოზღუდულ  
ია რკინით შემოკედილი დირებით. მათ ქვეშ მოედინება მყრა-  
ლი მდინარე, ხოლო გამომა დგას კუმანიად წოდებული სიმაგ-  
რე, აგებული იმ მიზნით, რათა დააბრკოლონ მრავალრი-  
ცხოვანი ტოშების გადმოსვლა“ (შ. VI, § 30). ამავე დროს პლინი-  
უსმა იცის რომ-ნაჩვენები კარები ქართლშია: იგი კვლავ ეკამათება  
იმათ, ვინც „კასპიის კარებს უწოდებს იბერიის კარებს (portas Hiberiae),  
რომელნიც, როგორც ჩევნ ეთქვით, კავკასიის კარებად იწოდებიან; ეს სახელ-  
წოდებაა აღნიშნული იქიდან გმოგზავნილ სასიტუაციო რუკებზედაც. იმპერა-  
ტორ ნერონის მუქარაც ეხებოდა ვითომც კასპიის კარებს, მაშინ როცა იგი გუ-  
ლისხმობდა მათ, რომელთაც იბერიაზე გვილით (per Hiberiam) სარმატებში  
მივყავართ“ (შ. VI, § 40). ამ ცნობას შეიძლება გარდამშვეტი. მნიშვნელობა  
მიენიჭოს მისი მეფიონ და დოკუმენტური ხასიათის გამო. მაგრამ მოიპოვება  
კიდევ ერთი ჩევნებაც იმის შესახებ, რომ არაგვის გზისა და დარიალის კონ-  
ტროლი მთლიანად ქართველების ხელში იმყოფებოდა აღებულ ხანაში. ტაცი-  
რი გვიამბობს თავის „ანალებში“ რომ I საუკუნის (ახ. წ.) ოცდაათიან წლებ-  
ში ამტყდარ ქართველ-პართელთა მოში ირიც მხარე ცდილობდა ქირის ჯარი  
ეშვენა სარმატებთან. ამ საქმეში ქართველებმა დასახრეს პართელებს, იმიტომ  
რომ „იბერებმა, რომელნიც ამ ადგილების მფლობელი იყვნენ, სწრაფად შე-  
მოუშეს სარმატები კასპიის გზით არმენიელების წინააღმდეგ. ის სარმატები-  
კი, რომელნიც პართელების დასახმარებლად მოდიოდნენ, ადვილად შეჩერებულ  
იქნენ, რაღვანაც მოწინააღმდევები (ე. ი. ქართველებმა და მათმა მოკაშირეებ-  
მა, ს. ჯ.) დაჰკეტა კველა სხვა გასასვლელი, ერთადერთი დარჩენილი-კი ხელვა-  
სა და ალბანიის მთების ბოლოს შორის ზაფხულში გაუსვლელი იყო“-თ (შ. VI,  
33). აქ სარულიად აშკარაა, რომ უმოკლესი („სასწრაფო“), სარმატებიდან სომ-  
ხეთამდე, კასპიის გზა, რომელიც ქართველების მთლიანელობაში იმყოფება, პლი-  
ნიუსის „კავკასიის“, ე. ი. დარიალის გზას ემთხვევა და არა დარუბანდის „ხლვის-  
კარს“, რომელიც შეიძლებოდა მეოთხევლს აქ ეგულებინა სახელწოდება „კას-  
პიის“ გამო. ამ უკანასკნელს გულისხმობს ტაციტის მიერ დასახელებული გზა  
(კასპიის) „ზღვასა და ალბანიის მთების (კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილის)  
ბოლოს შორის“.

ტაციტის ცნობა მოწმობს იგრეთვე, რომ ქართველები კონტროლს უწინ-  
დნენ კავკასიონის ზოგ სხვა საუღელტეხილო გზასაც...

აღმოსავლეთის სახლვრის შესახებ ცნობები მცირეა და ნაკლებ ნიშანდობ-  
ლივი. აქ საქმაოდ მიგვაჩინა მიეკითხოთ აქედა. იყ. ჯავახიშვილის მოსახრება,  
პლინიუსის ჩევნებაზე დამყარებული, რომ ეს სახლვარი მდ. აღაზანხე გადიოდა  
(4). ჩვენი მხრით დაუკარებთ მხოლოდ: არაგვი, როგორც აღმოსავლეთის საზ-

ღვარი, საესებით გამორიცხულია უკვე სტრაბონის ცნობითაც რომ კავკასიის „ზოგი ტოტი სამხრეთისაკენ ვრცელდება, გარემოიცავს შუა იბერიას და უერთდება არმენიისა და მისსურ მთებს“ (წ. XI, თ. II, § 15). კავკასიონის ამ სამხრეთის ტოტებიდან ერთი, უძველები, ცივგომბორის ქედია. სტრაბონის ცნობა გვავალებს მივიღოთ რომ იბერიას ეკუთვნოდა არა მარტო ტერიტორია ცივ-გომბორის ქედის დასავლეთით, არამედ მის ღმოსავლეთითაც.

დასავლეთის საზღვარი გასდევდა კოლხეთის ციხე-ქალაქებს სკანდასა და შორაბანს. ამ ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია იბერიას ეკუთვნოდა. სტრაბონით, მდ. ფასიდი (ე. ი. ამ შემთხვევაში — ყვირილა) ჩქარა დის და არ არის სანაოსნო, ვიდრე შევიდოდეს კოლხიდში (წ. XI, თ. III, § 4), სანაოსნო-კი იგი არის შორაბანიდან (წ. XI, თ. II, § 17), რომელიც კოლხიდის სიმაგრეა და საიდანაც გზა შედის იბერიაში (წ. XI, თ. III, § 4). სტრაბონისავე ზემოთმოტანილი ცნობა რომ კავკასიონის ზოგი სამხრეთის შტო „გარემოიცავს შუა იბერიას“, აგრეთვე მოწმობს, რომ ქართლის სამეფოს ჰქონდა მიწა-წყალი სურამის ქედის დასავლეთითაც, რადგანაც უძველები, რომ ამ სამხრეთის შტოებიდან ერთი სწორედ სურამის ქედია. ჯუანშერიც იცნობს „ეგრისს ვიდრე შორაბანამდე“ [5].

კრიტიკული ანალიზი, ვეონებთ, კარგად არკვევს იბერიის სამხრეთის საზღვარსაც ვერ დაეთანხმებით ააღ. ივ. ჯავახიშვილს, თითქოს ეს საზღვარი „არც სტრაბონს, არც პლინიუსს გარკვეულად აღნიშნული არა აქვთ“ [4].

ჯერ ირკვევა რომ მდ. მტკვრის აუზი კამბისენებმდე მთლიანად ქართლის სამეფოს საზღვრებშია. სტრაბონი ამბობს რომ კირი, რომელსაც წინათ კორს ეძახდნენ (წ. XI, თ. III, § 2), ე. ი. მტკვარი, იბერიასა და ალბანიაზე დის, მაშინ როცა არაქსი — არმენიაზე (წ. XI, თ. I, § 5). ამავე შეხედულებისაა დიონ კასი, ეპოქის ერთი საუკეთესო წყაროთაგანი. დიონ კასი მოგვითხრობს: პომპეუსი „ეომებოდა როგორც ალბანელებს, ისე იბერებს. იგი იძულებული გახდა იბერებს უფრო ადრეც-კი შებმოდა, ყოველგვარი მოლოდინის გარეშე. ცხოვრობენ ისინი კირნის ორსავე ნაპირას, ესაზღვრებიან რა ერთი მხრით ალბანელებს, ხოლო მეორე მხრით — არმენიელებს“... მოულოდნელი თავდასხმით პომპეუსმა ხელო იგდო იბერიის მეფის რეზიდენცია და აიძულა მეფე არტოკი გადასულიყო მტკვარს გადაღმა (ჩრდილოეთით). „რავი პომპეუსმა ამრიგად ხელო იგდო ეს გასასვლელი, მან აქ გუშაგები დააყენა, თვითონ-კი გაემართა და დაიძყრო მთელი (ქვეყანა) მტკვარს გამოღმა. შემდეგ როცა იგი ემზადებოდა კირნებისას გადასასვლელად, არტოკმა მას გაუგზავნა (ელჩები)“ (XXXVII, §§ 1 — 2). ამ კონკრეტული და მთლიანი ცნობიდან აშკარაა: იბერიას ეკუთვნოდა მტკვარის ორივე ნაპირი და მტკვარის მარჯვენა ნაპირზე ქართლის მიწა-წყალი იმდენად ვრცელი იყო, რომ სამეფო რეზიდენციის დაცემისდა მიუწედვად მის დაპყრობას მთელი ლაშქრობა სჭიროდა. ამითვე აიხსნება, რომ სამეფო საჯდომი მტკვარის მარჯვენა ნაპირას მდებარეობდა. როცა იბერიის ეს ნაწილი პომპეუსმა ხელო იგდო და აქ ზურგი გაიმავრა, მხოლოდ ამის შემდეგ

გაპედედა მან მტკურის მარცხენა ნაპირას გადასულიყო და ქართლის ჩრდილოეთის რაიონების დამორჩილება ეცადნა.

შეიძლება ისიც გარკვეულ იქნეს თუ სახელდობრ სად გადიოდა პოლიტიკური სადემარკაციო ხაზი სომხეთისა და ქართლის სამეფოებს შორის. იგივე სტრაბონი, იხსენიებს რა პოლოდორის ჩვენებას რომ იბერების მიწაწყალს არმენიისაგან არაქსი განკუთვს, თავის მხრით გვარწმუნებს რომ ამ საზღვარს „უფრო კირი და მოსური მოები“ შეადგენენ (წ. I, თ. III, § 21). სტრაბონი ივწყებს რომ პოლოდორი ერთი საუკუნითაა დაშორებული მის დროს და რომ ამ ხნის განმავლობაში განვითარება არ შეწყვეტილა. პოლოდორისა და სტრაბონის ჩვენებან ამ განვითარების სხვადასხვა ეტაპს წარმოვიდგენ.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება სტრაბონის ცნობიდან? უწინარეს ყოვლისა ცხადია რომ თავის (თუ თავის სხვა, უფრო ახლობელი, წყაროების) დროისათვის სტრაბონს შეუძლებლად მიაჩნია იბერია-არმენიის საზღვარი არაქს-ზე დასთოს. კირის (მტკურის) სხენება ამ შემთხვევეში მოწმობს რომ სტრაბონი საზღვარს არაქსზე ჩრდილოეთით ექვებს. მეორე მხრით უნდა მოვიგონოთ რომ, როგორც ზემოთ გაირკვა, თვით სტრაბონისა და სხვა, სტრაბონისგან დამოუკიდებელი, წყაროების ჩვენებით, მტკურის აუზი აღბანის საზღვრამდე მთლიანად იბერიის ფარგლებში იყო მოქცეული. მაში როგორ-ლა შეიძლებოდა მტკურის წარმოდგენ სასაზღვრო მიჯნად?

ყურადღებას იქცევს, ჯერ ერთი, ის რომ სტრაბონი ამ საზღვარს მია-ხლოებით წარმოიდგენს; ამასე მიუთითებს მისი გამოთქმა მასშია—უფრო, უფრო მეტად, უკეთ. შემდეგ, ერთად-ერთი განმარტება, რომელიც ყველა ამ ცნობას შეარიგებდა, ისაა რომ იბერია-არმენიის საზღვარს სტრაბონი მიახლოებით მტკურის სათავეებთან გამავალ ხაზზე იგულვებს. ეს დადასტურებულია სტრაბონის შემდეგი ადგილითაც, სადაც დიდი გეოგრაფი იბერიის აღწერილობას იძლევა საგანგებოდ: „ამ ქვეყნის ერთი ნაწილი ყველმხრივ გარემოცულია კავკასიის მთებით, რადგანაც სამხრეთისაკენ, როგორც შევჩი ვთქვით, ჩამოდის (კავკასიის) შტოები, რომელიც მდიდარი არიან მცნარეულობით, გარემოცავენ მთელ იბერიას და აღწევენ არმენიასა და კოლხიდას; შუაში-კი არის ბარი, რომელსაც მდინარეები რწყავს და მათ შორის ყველაზე დიდი—კირი; მას სათავე აქვს არმენიაში, მაშინვე შედის დასახელებულ ბარში, იერთებს კავკასიიდან გამომდინარე არაგონსა და სხვა ნაკადებს და ვიწრო ხეობით შედის აღბანიაში“ (წ. XI, თ. III, § 2).

აქაც დადასტურებულია რომ მტკური იბერიის უდიდესი მდინარეა, რომ აღბანიის საზღვრამდე მთელი მისი აუზი (ცნობა შენაკადების შესახებ!) იბერიის ფარგლებშია. სტრაბონის წარმოდგენით მტკურის სათავეა მხოლოდ არმენიაში („არმენია“ აქ, ცხადია, პოლიტიკური მნიშვნელობითაა ნახმარი) და თვით მდინარე მაშინვე, ე. ი. უკეთ სათავეებიდანვე, ქართლის ტერიტორიაზე დის. რეალურად-კი, უნდა ვითქმიროთ, სახელმწიფო საზღვარი, ამ ცნობის თვალსაზრისით, მტკურისა და არაქსის წყალთვისაყარ მთებზე გადიოდა... ამიტომ უფრო მართალია, რათქმაუნდა, პლუტარქი, რომელიც სტრაბონისავე ხანის წყაროებით სარგებლობდა ამ საგანზე, როცა ამბობს რომ „მდინარე კირნს... სათავე

აქვს იბერიის მთებში და მას ერთვის არმენიდან მომდინარე არაქსი—ო („პომ-პერსი“, XXXIV). ესეც პოლიტიკური განსაზღვრებაა: მტკრის ხეობა-აუზი მთლი-ანად იბერიის ფარგლებშია, არაქსისა-კი—არმენისაში!

საკითხის წმინდა გეოგრაფიული განძარტება სხვა ანტიკურ მწერლებს მო-  
ეპოვებათ. სტრაბონის უმცროსი თანამედროვე, უკვე რომაული (კლასიკულის  
ხანის) მწერლობის წარმომადგენელი, პომპონიუს მელა წერს: „მდინარეები კი-  
რი და კაბიის სათავეს იღებენ ურთიერთ ახლოს მდებარე წყაროსთვლებიდან  
კორაქსიულ მთებთან, შემდევ შორდებიან ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულე-  
ბით და დიდ ხანი მიეღინებიან ერთი მეორისაგან შორს დაცილებული კალა-  
პოტებით ჰიბერებისა და ჰირკანების ქეყნებშე, უკვე ზღვისაგან არა მოშო-  
რებით ჩადიან ერთსადამიავე ტბაში და ერთი კალაპოტით აღწევნ ჰირკანის  
ყურეს“ (ხოროგრაფია. წ. III, § 41). „კაბიისი აქ არაქსს აღნიშნავს და ირკე-  
ვა რომ, მელას წარმოდგენით, არაქსს და მტკვარს სათავეები ერთი წყალთ-  
გასაყარი ქედის კალთებზე აქვთ და რომ ეს ქედი კორაქსის მთების სახელწო-  
დებას ატარებს. მტკვარს სათავეები აქვს, ქართული ნომენკლატურით, კოლას  
პროვინციაში, რომელიც დღემდე შეინარჩუნა ეს სახელი, თუმცა ოდნავ სახე-  
ცელილი ფორმით. კორაქსიული მთებით როგორც ჩვეალურად, ისე ენობრივად  
კოლას მთებს უდრის.

პლინიუსიც მტკრის სათავეს იგრეთვე კორაქსიულ მთებში დასდებს  
(წ. VI, § 39), მაგრამ ამასთან ერთად მას ახალი ცნობა შემოაქვს: „კირს სათავე  
აქვს ჰენიოხეურ მთებში, რომელებსაც სხვები კორაქსიულს ეძახიან“ (წ. VI, § 26).  
ეს განმარტება უპირატესად ეთნიკური მნიშვნელობისა გამოდის.

შემდეგ. სტრაბონით იბერია არმენიისაგან იმიჯნება კიროსითა და მოსხუ-  
რი მთებით (წ. I, თ. III, § 21). თუ რა მნიშვნელობა აქვს მტკრის დასხელებას  
ამ შემთხვევაში, ეს ჩვენ ზემოთ განვმარტეთ. მოსხური მთები-კი მიჯნას შეაღ-  
გენენ არა მტკრის სათავეებთან, რადგანაც, როგორც ვნახეთ, არც ერთი იმ-  
დროინდელი წყარო ამ სათავეებს მოსხურ მთებში არ უჩვენებს. აქ მოსხური  
მთები, მტკრის სათავეებთან ერთად, ზოგადად მოხაზავს იმ ოლქს, სადაც არ-  
მენია და იბერია პოლიტიკურად ხედებოდნენ ერთმანეთს სტრაბონის ხანაში.  
ჩვენ გარკვეული გვაქვს, რომ „მოსხური მთები“ ვანეოთის მთებია, აღმოს. პონ-  
ტის მთაგრეხილის აღმოსავლეთის ნაწილი. მაშასაგამე, სტრაბონის (თუ მასი  
სათანადო წყაროს) დროს იბერიის ტერიტორია ჭოროხის ხეობაშიაც გადადი-  
ოდა.

საესებით ემოშება ამ ჩვენების პლინიუსიც: „140.000 ნაბიჯზე ტრაპეზუნ-  
ტიდან (აღმოსავლეთისაკენ. ს. ჯ.) არის მდ. აბსარი, რომლის შესართავთან  
იმავე სახელის ქვენე ციხე-სიმაგრეა. ამ ადგილებში მთებს გადაღმა არის იბე-  
რია“ (წ. VI, § 12). მდ. აბსარი და აბსარის ციხე ჭოროხის შესართავის რაი-  
ონშე მიუთითებენ. აშეარაა რომ ეს მთები, რომლის გადაღმა იბერია იწყება,  
იგივე სტრაბონისეული მოსხური მთებია.

ზემოთ მიღებული დასკვნა ტერიტორიული ხანის გეოგრაფიულ-აღმინისტრა-  
ციული ნომენკლატურის ენაზე რომ გადავიტანოთ, უნდა ვთქვათ რომ არ მე-  
ნიის საზღვრებში ჩეგბა ბასიანი, იბერიისაში—კოლა-არტა-

ან ი. ამ ხაზის გაგრძელება შეიძლება დასავლეთისაკენ. სტრაბონი არმენის აღწერილობაში ისხენიებს პროვინციას სისპირიტიდას (წ. XI, თ. XIV, § 9, § 12; შეადრ. წ. XI, თ. IV, § 8), რომელიც უაქცელია, მეტნაკლებად ემ-თხვევა ფეოდალური ხანის ქართულ სპერსა და თანამედროვე ის პირს. სტრაბონის ცნობა უნდა გავიგოთ, ჩანს, ისე რომ სისპირიტიდა-სპერი ეკუთვნოდა სომხეთს. ტაო-კი უკვე იბერიის ფარგლებში მოღიოდა. სამხრეთის საზღვრის ხაზის შესახებ აღმოსავლეთის სექტორში სხვა არაფერი მოგვეპოვება, გარდა სტრაბონის ორი ცნობისა. ერთი ისაა, რომლის თანამედროვე იბერიაში მდინარეებს იჯროს ქვიშა მოაქვთ (წ. XV, თ. I, §§ 57, 59). ყველა მერმინდელი ცნობა აქ სრულიად გარეულ ტერიტორიას გვაგულისხმებინებს... მეორე ცნობით, კამბისენეს ნახევრად ბარისა და ნახევრად მთიანი პროვინციის, — სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ იბერია, აღმინია და არმენია (წ. XI, თ. IV, § 1), — სომხური ნაწილი იორა-ალაზნის შუაწყულის სამხრეთით მდებარე მაღალი ქედების — ბამბაკის აღმოს. ნაწილისა და შავ-დალის — მთიანეთში უნდა ვეძიოთ. მის ჩრდილოეთით უკვე იბერია იქნება.

ჩვენ მიერ დადგენილი სამხრეთის საზღვარი არ შეადგენდა იბერიის იმ-თავითვე უცველეს მიჯნას. როგორც ვნახეთ ზემოთ, სტრაბონთან დაცულია (წ. I, თ. III, § 21) აპოლოდორის მოწმობა რომ იბერიის არმენიისაგან მდ. არაქსი განპყოფს. აპოლოდორი II საუკუნის მიწურულების მწერალია, ძვ. წ. [6]. ამრიგად, აპოლოდორის ცნობა მოწმობს რომ მეორე საუკუნის დამლევისათვის, ძვ. წ., ქართლის სამეფოს ტერიტორია სამხრეთისაკენ უფრო ვრცელი იყო, ვიდრე მომდევნო პერიოდში. არ შეკვებით თუ ვიტყვით რომ არაქსის ჩრდილოეთით მდებარე რაიონები იბერიამ დაპარგა ტიგრან II-ის დროს, როცა არმენია სწრაფ ზრდას განიცდის (I საუკუნის პირველი ნახევარი, ძვ. წ.).

ერთი საუკუნით ადრე ამ ეპოქამდე იბერიამ კიდევ უფრო მძიმე ტერიტორიული დანაკლისი განიცადა, როცა მას ჩამოაცალეს პარიალის მთიანეთს, ხორ ძენესა და გოგარენეს თემები, რაზედაც სტრაბონი მოგვითხრობს (წ. XI, თ. XIV, § 5). რომ პარიალის მთებთან ოდესალაც დაკავშირებული იყო იბერიის სამხრეთის სასაზღვრო ხაზი, ეს დადასტურებული იქვს პლინიუსს: „ეხლა ჩამოთვლილი იქნებიან არმენიის მომიჯნავე ძმენების მცხოვრები. მთელი დაბლობი, მდინარე კირიდან მოყოლებული, დასახლებულია ალბანელების ტომით, შემდეგ — იბერებით... მთავარი ქალაქებია... იბერიაში პერმასტი მდინარესთან და ნეორისი, თასისა და თრიარის რლები პარიპეტრის მთებამდე. მათ გადაღმა ძევს კოლხიდის უდაბნოები“... (წ. VI, §§ 28—29).

აქ, ჯერ ერთი, ცხადია რომ პარიპეტრის მთები საზღვარია არმენიის გარეშე მდებარე რომელიც ქვეყნისა. შემდეგ, ლოგიურია თასისა და თრიარის ოლქები იბერიის მივათვალოთ. უმცელია, თრიარი ქართულ თრიალეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ოღონდ, ცხადია რომ პლინიუსის ცნობაში, — რომელიც



განსაკუთრებით ძვირფასია იმიტომ რომ იგი აშკარად სტრაბონისაგან განსხვავებულ წყაროს ემყარება, — ტექსტი ნაკლული სახითაა ჩვენ დრომდე მოლწეული... საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ისტორიის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 5.9.1942)

## ИСТОРИЯ

Академик С. Н. ДЖАНАШИА

### К ПОЛИТИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ИБЕРСКОГО (КАРТЛИЙСКОГО) ЦАРСТВА В ДРЕВНЕЙШИЙ ПЕРИОД

#### Резюме

Сравнительно-критическим изучением сообщений греко-римских, преимущественно, источников устанавливается, что политические границы Иберии к началу нашей эры проходили: а) на севере—за Главным Кавказским хребтом (Дарияльский проход находится в руках грузин в продолжение всего периода, будучи сильно укреплен ими); б) на востоке—по долине р. Алазани; в) на западе—по линии, пограничной с укрепленными городами Колхида—Сканда и Шорапани; г) на юге—по водораздельным хребтам между бассейнами Куры и Аракса, причем в политических пределах Армении остаются Сиспиритида-Спер и Басиан на западе, а на востоке—горная зона области Камбисены (горный район Камбисены локализуется по восточной части Бамбакского хребта и по Шах-дагу).

Данная линия южной границы Иберии мыслится, как результат роста территории Армении при Тигране II; в конце II в. до н. э. она проходила по Араксу (Аполлодор), а к началу того же века—еще южнее, включая в себя горную область Парнаиадра, Хордзену и Гогарену (Страбон, Плиний).

Академия Наук Грузинской ССР

Институт истории  
Тбилиси

#### დამოუკუთხილები ლიტერატურა—ПИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. პლატონ: Народы Закавказья в VI в. до н. э.—VII в. н. э.: История СССР. Альбом наглядных пособий. Выпуск II, № 10. Государственное издательство политической литературы. 1939.
2. История СССР, ч. I—II. На правах рукописи. Академия Наук СССР. Институт истории материальной культуры им. Н. Я. Марра. Москва—Ленинград, 1939 г., стр. 325.
3. ს. ჯავაბაძე. ქართული სახელმწიფო მიმდინარეობის გენეზისის საქითხები: „საისტორიო მთავრებელი“, წ. I, ტ. 1. 1924, გვ. 21, 29, 31, 33.
4. ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია. წიგნი პირველი და მეორე. თბილისი, 1913, გვ. 59.
5. ქართლის ცხოვრება. მართამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თავაიშვილის რედაქტორით. თბილისი, 1906, გვ. 209.
6. М. И. Ростовцев. Скифия и Боспор. Критическое обозрение памятников литературных и археологических. 1925, стр. 36.

ისტორია

გ. გამოცემა

საქართველოს მოსახლეობის ღიამიწა 1873—1926 წლებში

I

მოსახლეობის სტატისტიკური შესწავლა ძირითადად შეიძლება ორი მიმართულებით წარიმართოს: ა) მოსახლეობის მდგრადი მომდინარეობის შესწავლა განსაზღვრული მომენტისათვის პერიოდული სტატისტიკური დაკვირვების წარმოების გზით და ბ) მოსახლეობის მოძრაობის შესწავლა მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვების წარმოების გზით ([1], გვ. 9 და შემდ.).

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოსახლეობის მდგრადი მომდინარეობის სტატისტიკასთან, რომელიც მოსახლეობის სტატისტიკური დახასიათებისა შემდეგ მიზნებს ისახავს:

ა) გამოარყოის მოსახლეობის რიცხვი (აბსოლუტურად და სათანადო ფართობისადმი შეფარდებით);

ბ) მოხადინოს მოსახლეობის დიფერენციაცია ბუნებრივი და სოციალური ნიშნების მიხედვით;

გ) პერიოდულად გამოირებულ ერთგვაროვან სტატისტიკურ დაკვირვებათა გზით მოგვცეს დასკვნები მოსახლეობის დინამიკისა და ეკონომიკის ხასიათის შესახებ.

მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს მოსახლეობის მოძრაობის სტატისტიკასთან, რომელიც ბუნებრივი და სოციალური ფაქტორების ზეგავლენით მოსახლეობაში მომხდარ ცვლილებებს შეისწავლის.

ქვემოთ მოყვანილი ნარკვევი საქართველოს მოსახლეობის შესახებ 1873—1926 წლებში შეეხება მოსახლეობის მდგრადი მომდინარეობის შედარებითს სტატისტიკურ გამოკვლევას მოსახლეობის დინამიკისა და ეკონომიკის ზოგადი ხასიათის გასარკვევად. ამ მიზნით აქ დაპირისპირებულია ხუთი შესაძლარებელი თარიღისათვის მოსახლეობის საერთო რიცხვი, დიფერენცირებული ზოგიერთი ელემენტარული ნიშნის მიხედვით. ასეთი შესაძარებელი თარიღებია: 1873, 1886, 1897, 1917 და 1926 წლები, რომლებიც შემთხვევით არ არის აღებული: მხოლოდ ამ წლებისათვის მოიპოვება მეტ-ნაკლებ დამაკმაყოფილებელი სტატისტიკური ცნობები საქართველოს მოსახლეობის რიცხვისა და შედგენილობის შესახებ<sup>1</sup>.

(1) საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლისათვის თუმცა ნაკლებანი, მაგრამ მაინც საქმაო მოცულობის წყაროები არსებობს XIX—XX საუკ. საქართველოსათვის, რომლებიც მეტწილად დამუშავება-განაოგადების მოღონიში არიან. რაც შეეხება ძველი (და უძველესი) საქართველოს მოსახლეობის შესწავლის საქმეს, —იგი დღმიდებთოლოდ ისტორიისთა კვლევის საგანს შეაღგენს, რომელთაგან აკად. ი. ჯავახიშვილის

## II

მასალა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის ეს ზოგადი დახასიათება ეყვარება აღნიშნული 53 წლის (1873—1926 წლების) განმავლობაში, არ არის ერთგაროვნი არც ერთი თელსაზრისით: მნიანი, რომლითაც იგი მოიპოვებოდა, ორგანოები, რომლებიც ამ ცნობათა მიღების ხელმძღვანელობდნენ, ხერხები, რომელთა საშუალებითაც დაკვირვება წარმოებდა, ტერიტორია, რომელზეც ეს დაკვირვება კრესტოდებოდა და პერიოდულობა, რომლითაც ამ ცნობათა მოპოვება-დაშვივა წარმოებდა, სხვადასხვაგვარია.

1873 წლის მოსახლეობის ცნობები აღეცულია კავკასიის მოსახლეობის კამერალური აღწერილობის მონაცემებიდან. ეს ცნობები არსებული გამოცემის [4] ორი ცხრილიდან არის ამოღებული: ცხრილიდან, სადაც მოსახლეობა ეროვნების მიხედვით არის დანაწილებული, და ცხრილიდან, რომელშიც მოსახლეობა რელიგიის მიხედვით არის დანაწილებული (მხოლოდ აյ არის მოცემული მოსახლეობის რიცხვი სქესის მიხედვით).

1886 წლის მოსახლეობის ცნობები ეყვარება მოსახლეობის საოჯახო სიებს [5]. საოჯახო სიების შედგნა, რაც უმთავრესად სამხედრო და საგადასახადო ვალდებულებათა გამორჩევის მიხნით ტარდებოდა, 1886 წ. მაის—დეკემბერში ჩატარდა, ხოლო შენაგრები ცნობების შედგნა-გამოქვეყნება მხოლოდ 1892—93 წლებში მოხერხდა, როდესაც ჯერ კიდევ გრძელდებოდა ამ ცნობებში „შესწორებათა“ შეტანა სხვადასხვა აღმინისტრაციული „მიზანშეწონილობის“ მიზნით.

1897 წლის მოსახლეობის ცნობების წყაროა ამ წლის 28 იანვარს (ძვ. სტ.) ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, მოსახლეობის პირველი და უკანასკნელი აღწერა მეცნიერონდელ რესეტში. შედეგები ამ აღწერისა [6, 7] თუმცა საქმიან ნაკლის მატარებელია როგორც პროგრამის, ისე, განსაკუთრებით, დაკვირვების ორგანიზაციის მხრივ, მაგრამ მაინც იგი მიჩნეულია ერთადერთ შედარებით სანდო წყაროდ XIX საუკუნის დამლევის რესეტის მოსახლეობის მორფოლოგიური შესწავლისათვის.

1917 წლის მოსახლეობის ცნობები ეყვარება 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილ-მამულო აღწერის შედეგებს [8]. ეს აღწერა ჩატარდა 1917 წლ. ზაფხულში, სრულიად-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო, საადგილ-მამულო და საქალაქო აღწერის სახით. აღწერის პროგრამაში დემოგრაფიულ ნაწილს მხოლოდ დამატებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ნაწილობრივ მოიცავდა მოსახლეობის შედეგნილობის გამრკვევ კითხვებს. იგი ჩატარდა მეტად არახელსაყრელ ვითარებაში, გრძელდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში და, ამიტომ, კრიტიკული მომენტის პრინციპი არ ყოფილი დაუსული, რის გამო აღწერის შედეგები მხოლოდ პირობით შეიძლება მივიჩნიოთ დემოგრაფიული სტატისტიკის წყაროდ<sup>(1)</sup>.

[2] და სხვ.) და აყად. ს. ჯანაშიას ([3] და სხვ.) შრომები, ისტორიულ-დემოგრაფიულ ძეგლებთან ერთად, ფართო მეცნიერულ საფუძვლს უქმნიან მკლევართ შემდგომი დემოგრაფიული კილევა-ძიებისათვის.

<sup>(1)</sup> საქართველოს მოსახლეობის 1886, 1897 და 1917 წლების ცნობები, საერთო საიმპერიო მოსახლეობის რიცხვებისაგან გამოკლევებული და ერთგარად გადამუშავებული საერთო სამოცემების შემდგომდროინდელ სტატისტიკურ გამოცემებში [9, 10].

სრულიად განსხვავებულია ამ მხრივ 1926 წლის აღწერის შედეგები, 1926 წლის 17 დეკემბრის აღწერა წარმოადგენდა მოსახლეობის პირების სრულიად-საქაფირო აღწერას, რომელიც მოწყონილი სტატისტიკური მეცნიერების პრინციპების საფუძველზე. აღწერის შედეგები, დამუშავებული ძირითადად 1927—28 წლებში, გამოქვეყნდა 56 ტომად. 1931 წლისათვის, რომელთა შორის, ამიერ-კავკასიის სფს რესპუბლიკისათვის მიკუთხებულ ტომებში, მოცუმულია სათანა-დო ცხრილები საქართველოს მოსახლეობის შესახებაც [11].

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობის კერძომოუყვანილ მონაცემთა წყარო-ების ამ ზოგადი განხილვიდანაც ადვილი დასანახია, რომ თუ უკანასკნელი ორი თარიღისათვის დემოგრაფიული სტატისტიკის სანდო და მეცნიერულ სა-ფუძვლებზე დამყარებულ წყაროსთან გვაქვს საქმე, იგივე არ ითქ-მის წინანდელი თარიღების მონაცემთა შესახებ. განსაკუთრებით ეჭვმისატანია მონაცემები 1873, 1886 და 1917 წლების შესახებ: სამივე შემთხვევაში იმის გამო, რომ სტატისტიკური ცნობების მოპოვების მიზანი და ხსიათი საგრძნო-ბად იყო დაშორებული დემოგრაფიული სტატისტიკის ამოცანებს.

ანგარიშგისაწვევია აგრეთვე დროის არათანაბარი შუალედი მი-ლებული რიცხვების საფუძვლად მდებარე სტატისტიკურ დაკვირვებათა შორის. ასე: კვლევის პერიოდად აღებული 53 წლიდან დაკვირვების პირები და მეორე თარიღის შუა 13 წლის მანძილია (1873—1886), შემდეგ—11 წლის (1886—1897), 20 წლის (1897—1917), და, ბოლოს, 9 წლისა (1917—1926).

არა ერთგვაროვნობა ტერიტორიისა, რომელზედაც სტატისტიკური დაკვირვება წარმოებდა, აგრეთვე მნიშვნელოვან დაბრკოლების წარ-მოადგნს სწორი დასკვნების მიღებისათვის. აღნიშნული პერიოდის მანძილზე კი ამ მხრივ საგრძნობი ცვლილებანი ხდებოდა. საქმიარისია დავასახელოთ თუნდაც ბერლინის 1878 წლის ხელშექრულებით და პირველი იმპერიალისტური ომის შედეგად მომხდარი ტერიტორიულ-პოლიტიკური ცვლილებანი.

ყველაზე ამის გამო მოსახლეობის რიცხვისა და შედგენილობის დაპირის-პირებისა და სათანადო დასკვნების გამოტანისას ეს გარემოება უნდა გვქონ-დეს მუდამ გათვალისწინებული: არაერთგვაროვანი ხსიათი სტატისტიკური ციფრებისა და დაპირისპირების პირობითობა.

### III

ზემოდასახელებულ წყაროთა საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხვის და სათანადო დასკვნების გამოტანისას ეს გარემოება უნდა გვქონ-დეს მუდამ გათვალისწინებული: არაერთგვაროვანი ხსიათი სტატისტიკური ციფრებისა და დაპირისპირების პირობითობა.

#### წლები

1873  
1886  
1897  
1917  
1926

#### მოსახლეობის რიცხვი

1,272,855  
1,697,726  
1,968,869  
2,426,281  
2,677,233



ივიც როცხვები, გამოსახული რელატივური სიღიდებით, მოსახლეობის  
მატების შემდეგ დახასიათებას იძლევა:

| წლები | შოთა გრინის რიცხვი მდგრადი დოკუმენტის მიხედვით |                 |               |                  |
|-------|--|-----------------|---------------|------------------|
|       | 1873 წლისადმი                                  | შესაძლო რეზენტი | შინა წლისადმი | საშუალო წლისადმი |
| 1873  | 100,0  | —               | —             | —                |
| 1886  | 133,4  | 133,4           | —             | 2,5              |
| 1897  | 154,7  | 116,0           | —             | 1,4              |
